სამშობლო

პარასკევი,
15 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., [illegible]
4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. [illegible]
ტებით 7 მ. წლიური ხელის მოწერილებს [illegible]
ფასი შეღავათით ნაწილნაწილათ გადაიხდიან.
მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწ[illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრ[illegible]
პირველ გვერდზე პეტიტით ლინია 15 კაპ., [illegible]
10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] გარეშე [illegible]
[illegible] ფასი: სტრიქონი პეტიტი [illegible]
30 კაპ., [illegible] 20 კ. [illegible]
ბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. [illegible]
2 საათ [illegible] 4 მან.

№ 332 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 332

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილად ძმობილი მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით,

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წლიურ.

რედაქტორი **ი. თ. ციციშვილი** გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ნადეჟდა სერაფიონის ასული კახიანისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდათუთქულნი: მეუღლე მისი ექიმი გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი, დედა ეკატერინე ივანეს ასული შენგელიასი, ძმები: ალექსანდრე, კონსტანტინე, ნიკოლოზი და გიორგი შენგელიები, დები: კნეინა ანა გელოვანისა, ელისაბედ და თამარ მეუნარგიასი, სიძეები: თავადი ვიქტორ გიორგის ძე გელოვანი და ექიმი კაპიტონ გრიგოლის ძე მეუნარგია.

გამოსვენება—პარასკევს, 15 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, ინჟინრის ქუჩა, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე.

332 2—1

მშობლები ლუკა და მაშო ფორჩხიძენი, და მარუსია, ძმა დიმიტრი, ბიძასამსონ და მეუღლე მისი მარო ჰირაქაძენი, ბებია მზება, ბიძა ვანო და დეიდა ტერეზა ჰირაქაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პრაპორშჩიკის

ვასილ ლუკას ძის ფორჩხიძის

გარდაცვალებას.

გამოსვენება მოხდება კვირას 17 აპრილს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, პოლ ქუჩა, ქვარიანის შეს საკუთ. სახლიდან. დაკრძალვა საფიჩხიაზე.

14 პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. 2—1

ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ

[illegible] წელიწადია, რაც ქუთაისის სამეურნეო სკოლა არსებობს, ამ ხნის განმავლობაში ამ სკო[illegible] მოწაფეები ხშირად ეხმარებოდა და ხელს უწყობდა აქაურ საზოგადოებას სეირნობის თუ სხვა [illegible] შეკრებილების დროს დარბაზების მცენარეებით და ყვავილებით მორთვა მოკაზმვით, უფრო ხშირად სრულიად უსასყიდლოთ, ან სულ მცირე სასყიდლით

[illegible] ქუთაისის საზოგადოებას დასჭირდებოდა სადამოების ან სეირნობის ან სხვა რისამე გამართვა, ეს სკოლა ხელს უწყობდა მას.

[illegible] ეს გარემოება ქუთაისის სამეურნეო სკოლას ხელს უშლის თავის პირდაპირი მო[illegible] შესრულებაში—ბევრ დროს უკარგავს და მატერიალურადაც ზიანს აყენებს მას, [illegible] პედაგოგიური საბჭოს დადგენილების თანახმად ვაცხადებთ, რომ **არავის არას [illegible]ᲨᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲗ** იგი დღეიდან არ გაუწევს სამსახურს არც **ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔ[illegible] ᲓᲐ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ[illegible] ᲨᲠᲝᲛᲘᲗ.** ამასთანავე დავსძენთ, რომ არავითარი ნერგი ყვავილი, მცენარე და სხვა [illegible] სხვა მასალა დღეის რიცხვიდან უფასოდ არავის დაეთმობა სკოლის ბაღიდან.

[illegible]—2—1 ქუთაისის სამეურნეო სკოლის გამგე **ᲐᲚ. ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ.**

ექიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახ[illegible] ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფ[illegible] მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. [illegible] 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. თ.

ქ[illegible]იდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის [illegible] საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები. [illegible] ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3 1—თ.

[illegible]ეითალი **პ. მ. ნეურონოვი** ლებულობს მოსარ[illegible] ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—[illegible] საათამდი და საღამოს 3—6 საათ. [illegible]: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალაბ[illegible]ევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავადმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.

11 თ.

ექიმი **მულიენ.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

10

ბებია **მ. მ. ქობხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 14 აპრილიდან ნაჩვენები იქნება:

სათნოების და

თანამედროვე დრამა სამ ნაწილად ძმ. პატეს საუკეთესო მსახიობთა მონაწ.

„კარაპუზი“ და სანიტარი

სასაცილო სურათი.

ანონსი: ორშაბათ, 18 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი** № 337 მიმდინარე ამბები.

მეეტლე! ნუ მიერეკები ცხენებს!

ნოველა ი. ფელდმანის ცნობილ რომანსიდან 4 ნაწ. მონაწილეობენ: ბერსენევი, ბასალიგი, ვოლგერსკისა და რიბიკოვისა.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ხუთშაბათ, 14 აპრილიდან ნაჩვენები იქნება:

„არიან ულამაზესი ქალებიც

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: კაბანოვისა, რაბევსკისა, ობოლევსკისა და სვეტლოვისა

გულის რევმატიზმი კომიკური სურათი ლეონსის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათს, 18 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: **ᲒᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ**, მიმდინარე ამბები.

წმინდა ხსოვნა დრამა სამ ნაწილად იტალიელ ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ოლგა ბენეტისა, ვიქტორ ბენეტი და ალბერტ კოლო.

ადგილების ფასი **„ამპირსა“** და **„რადიუმში“**; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

აბრეშუმის თესლი.

უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ჯიშისა, უკვე ცნობილი კავკასიაში და განკებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ᲑᲐᲓᲘᲙ ᲙᲝᲡᲔᲠᲘ.**

92 თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘᲡ** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი

2 თ.

ექიმი **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87

14 თ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს 4—7 საათიმდის შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძესა. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

მტრის ჰაეროპლანები ყუმბარებსა ყრიდენ დვინსკზე. დვინსკის ფრონტზე და დაბა პოსტავის ჩრდილოეთით მტრის არტილერიამ ცეცხლი გააჩაღა. სოფ. ჩერნოს ჩრდილოეთით გერმანელები იერიშით წინ წამოსვლას ლამობდენ, მაგრამ მათმა ცდამ უშედეგოთ, ჩაიარა. ამ რაიონ ი მტრის ბევრი ჰაეროპლანი დაფრინავდა. მათ შორის ერთი ჩვენ ჩამოვაგდეთ. გრანოვიჩსა და ბარანოვიჩთან

მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოაგდეს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

ერზინჯანზე ოსმალთა იერიში არტილერიის ცეცხლით უკუვაგდეთ.

— —

დანარჩენი დეპეში იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

7 აპრილს, როგორც სააგენტოს დეპეშებიდან ვიცით, მარსელში რუსეთის ჯარის მოვიდა. ფრანგები ჯარს ოვაციებით და ალტაცებით მიეგებენ როგორც მხსნელებს. პეტროგრადის სამხედრო ავტორიტეტებიც დიდ მნიშვნელობას აწერენ ამ „ოპერაციას“ მათი აზრით ამას უპირველესად დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს ის მთელი ომიანობის დროის განმავლობაში ერთად ერთ მაგალითს წარმოადგენს, როცა რუსეთის ჯარი თავის ძმობა-ერთობას უმტკიცებს თავის მამამაც მოკავშირეებს. იმ დროს, როცა თითქმის ომის დაწყების დღიდანვე ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები თითქმის ყველა ფრონტებზე ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოდიოდენ, როცა გერმანიის ჯარები ყველგან თავის მოკავშირეების რიგში იბრძოდენ და იბრძვიან, რუსეთის ჯარები სრულიად განმარტოებული დანარჩენ თავიანთ მოკავშირეებისაგან. ახლა კი ეს აღარ არის. გერმანელთ ეს ფაქტი როგორც სურთ ისე ახსნან, ის კი უტყუარია, რომ იგი მთელი ქვეყნიერების თვალში მოკავშირეების რუსეთთან სოლიდარობის განმამტკიცებელია ამ ჟამად უდროვოა იმაზე ლაპარაკიო, აცხადებენ პეტროგრადელი სამხედრო მიმომხილველები, თუ რა მიზანს ისახავს მარსელში გადაყვანილი რუსეთის საექსპედიციო კორპუსი, ან რომელ ფრონტზე იქნება ის გაყვანილი; მაგრამ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯარი სავსებით გაამართლებს რუსეთის იმედს და მისდამი მინდობილ მისიას სრულიად შეასრულებს, რაც ისე მჭევრმეტყველურად გამოიხატა გენერალისიმუსმა ჟოფრმა თავის ჯარებისადმი ბრძანებაშიო.

ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ.

7 აპრილს პარლამენტში ინგლისის მთავარ მინისტრის ასკვიტის განცხადებამ, რომ სამინისტრო კრიზისი მთავრობის გადადგომას გამოიწვევსო, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეტყობა, რომ ყველას როგორც ლიბერალებს, ისე კონსერვატორებს (უნიონისტებს) უნდათ, რომ სამინისტროს გასაჭირი თავიდან აშორებულ იქნას. გასაჭირის თავიდან აშორების იმედი კი თანდათან იზრდება; ლოიდ-ჯორჯი და ზოგ კონსერვატორიც იმ აზრისაა, რომ სამხედრო ბეგარის კანონი ახლავე გავიდეს, დამტკიცდეს, მხოლოდ ძალაში იმ დრომდე არ შევიდეს, ვიდრე არ ცდიან, თუ რა ნაყოფს გამოიღებს

311

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი).

კავკასიისა და ოსმალეთის ასპარეზზე რუსეთის ჯარის წინსვლა შეჩერდა: ეს ორი თუ სამი დღეა ოსმალებს განუწყვეტელი იერიშები მოაქვთ რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ახალ პოზიციებზე. ირკვევა, რომ ოსმალნი მოსტყუვდენ და ტრაპიზონიდან დიდძალი ჯარი გაიყვანეს დაცემის წინად, რადგან მათ გადაწყვეტილი ჰქონიათ ბაირუთ-ბაშკალას რაიონში (ჭოროხის სათავესთან) იერიშები დაეწყოთ ამით ისარგებლა რუსეთის ჯარმა და ტრაპიზონი სამ დღეში გამალებული იერიშით აიღო. ოსმალნი ახლა თავის გეგმის შესრულებას განაგრძობენ და ბაშკალასთან რუსეთის ჯარზე იერიშები მოაქვთ, რომ გაარღვიონ ის და ამ ნაირათ შავი ზღვის პირით მომქმედი რუსეთის ჯარი არზრუმისას მოსწყვიტონ. რუსეთის ჯარმა ამ მიმართულებით ოსმალებისგან მოტანილი იერიშები დღემდე ყველა არტილერიის ცეცხლით მოიგერია.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე გერმანელების ჰაეროპლანები კვლავ მოქმედებას განაგრძობენ და რუსეთის პოზიციებს ყუმბარებს აყრიან. ჩრევის დასავლეთით (დვინსკის პოზიციების რაიონში) გერმანელებმა შეტევის დაწყება სცადეს, მაგრამ რუსეთის ჯარმა არტილერიის ცეცხლით ისინი მალე შეაჩერა გალიციიდან ამ ბოლო დროს არაფერი ისმის; სხვაგანაც ამ ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა.

საფრანგეთ გერმანიის ასპარეზზე მებრძოლთა მოძრავი ძალები **ვერდენის რაიონში** შეჯგუფდა დანარჩენ ნაწილს ფრონტისას თითქმის მარტო ინგლის-ბელგიის ჯარები იცავენ გერმანელები ვერდენთან სისტემატიურ ბრძოლას განაგრძობენ, მათი მოქმედების შესახებ ამ ბოლო დროს ნაკლები ცნობა მოდის.

ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანელებმა კვლავ ცეპელინებს მიმართეს და ზოგ სანაპირო ქალაქს საგრძნობი ზიანი მიაყენეს; ამას არ დასჯერდენ და ზღვაზედაც გაბედული იერიში მიიტანეს 12 აპრილს გერმანელთა სამხედრო ესკადრა მოულოდნელათ გაჩნდა ლევისტოფის წინ და იქ ინგლისის საზღვაო ძალებს შეება; ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ გერმანიის ესკადრა გაბრუნდა: ინგლისელთ რამდენიმეთ ზარალი მიაყენა საყურადღებოა მეომარ ძალთა განწყობილებისათვის ის მოვლენა, რომ ირლანდიის დედაქალაქში, აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ქალაქი თითქმის ხელთ იგდეს. ოფიციალური ცნობით აჯანყებულები ჯარერების საშუალებით დააწყნარეს: მსხვერპლი ორივე მხრიდან არის. ეს ამბავი არა მარტო ირლანდიის ხალხზე, არამედ მთელი ინგლისის მუშათა კლასზედაც დიდ გავლენას მოახდენს მით უფრო, რომ ახლახან ინგლისში მთავრობის მიერ სამხედრო ბეგარის კანონის გატაცებამ მუშებში დიდი უკმაყოფილება აღძრა

* * *

ცოლშვილიანების ნება ყოფლობით ჯარში გაწვევა. სამხედრო ბეგრის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ომისთვის გარდა მრავალ რიცხოვანი ჯარის ყოლისა, სახელმწიფოს სხვა აუცილებელი საშუალებებიც სჭირდება. მაგალითად აუცილებელია და ისიც მეტად სჩქაროთ, რომ საჰაერო ფლოტისთვის საჭირო გემ ხომალდები დამზადდეს; ამას გარდა საჭიროა ინდუსტრია იმ დონეზე დადგეს, რასაც მოკავშირეების დღევანდელი საჭიროება მოითხოვს, რომ საკმაო სამხედრო მასალა, გემები და ფული ყოველთვის მზად ჰქონდესთ. ჯერ კიდევ ბევრს იმედი აქვს, რომ მთავრობის სხვა და სხვა ელემენტები ერთიმეორეს დაუთმობენ და კრიზისი მშვიდობით დამთავრდება.

მთავარ მინისტრთან.

რო ორც მკითხველმა იცის, სამხედრო სამრეწველო კომიტეტების ცენტრალურმა ბიურომ იმ რეზოლიუციების გასატარებლათ, რომლებიც კომიტეტების ყრილობამ გამოიტანა, დაადგინა, რომ მთავარ მინისტრს დელეგაცია გაუგზავნოს და შუამდგომლობა სთხოვოს, რათა რეზოლიუციები განხორციელებულ იქნან 8 აპრილს ორი კაცისგან—ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კონოვალოვი და მუშათა ჯგუფის თავმჯდომარე გვოზდევი—შემდგარი დელეგაცია მართლაც წარსდგა მთავარ მინისტრის, შტიურმერის, წინაშე და მოახსენა: მართალია, იუსტიციის მინისტრმა ა. ხვოსტოვმა 1906 წლ. 4 მარტის კანონის თანახმათ ნება დართო, რომ მუშათა ჯგუფის წევრებმა თავიანთი ამრჩევლების („ვიბორჩიკების") კრებები გამართონ, მაგრამ იმ პირობით, რომ კრებას უთუოდ პოლიცია დაესწროს; ეს უკანასკნელი გარემოება კი, განაცხადა დელეგაციამ (კონოვალოვმა და გვოზდევმა) მუშათა რწმუნებულების („ვიბორჩიკების") კრების გამართვას შეუძლებლათ ხდის, ვინაიდან პოლიციის დასწრება მუშებს ნებას არ აძლევს, რომ კითხვა ყოველ მხრივ გამოარკვიონ. მუშებში აზრთა სხვადასხვა მიმდინარეობაა, რაც კრებაზე უნდა გამოაშკარავდეს, მაგრამ პოლიციის თანდასწრებით ეს უხერხულია. მოხსენით პოლიცია ურჩია მთავარ მინისტრს, მუშათა ჯგუფის წარმომადგენელმა გვოზდოვმა, მთავრობისთვის საშიში აქ არაფერია მართალია, მუშების ერთი ნაწილი სამხედრო კომიტეტებში მონაწილეობას უარს ყოფს, მაგრამ სამაგიეროთ მეორე, დიდი ნაწილი მომხრეა, ამასთან ამ საკითხში მუშები საერთოდ მეტათ ლოიალურათ იქცევიან და, თუ ვინიცობაა საწინააღმდეგო და არა ლოიალური რამ აღმოჩნდება, იმას ჩვენც გავუმკლავდებით და ჩავაჩუმებთო.

ამიტომ უკუაგდეთ მუშებისადმი უნდობლობა და სრული ნდობით მოგვეპყარით, თუ გსურთ, რომ სამხედრო ქარხნებში მუშაობა მწყობრათ მიმდინარეობდეს და მუშათა კლასი ომში რუსეთის გამარჯვებას ხელს უწყობდეს: ასე ხდება ევროპის სახელმწიფოებში და რუსეთშიაც ასე მოიქეცითო

, მთავარ მინისტრმა დელეგაციის ასეთ წინადადების საპასუხოთ თავის ხელქვეითს, მინისტრის ამხანაგს სტეპანოვს უბრძანა: განუმარტეთ დელეგაციას, რომ ეს არ შეიძლება ასე მოხდესო. სტეპანოვმა ბრძანებისამებრ განმარტა, რომ, ვიდრე 4 მარტის კანონი არსებობს და არ გაუუქმებიათ, მანამ იგი სავსებით უნდა შესრულდეს; მაშასადამე, პოლიციის დაუსწრებლათ არავითარი კრების მოხდენა არ შეიძლებაო.

კონოვალოვი და გვოზდევი მთავარ მინისტრის პროფესიონალურ კავშირების მდგომარეობისა და მომრიგებელ კამერების დაარსების შესახებაც შეეკითხნენ და მინისტრისგან პასუხათ მხოლოდ ეს მიიღეს:

დავფიქრდები ამ კითხვაზე და შესაფერ განკარგულებას მოვახდენო.

დასასრულ ასეთი პასუხებით გულ ნატკენი გვოზდევი შტიურმერს შეეკითხა: რად მოხდა, რომ იმ კომისიაში, რომელმაც ომიანობის პირობების თანხმათ მუშათა საკითხი უნდა განიხილოს, ყველა გაბატონებული ჯგუფის წარმომადგენელნი მიიწვიეთ და მუშათა წარმომადგენელი კი არც ერთიო? მთავარ მინისტრმა ამაზე ირონიულად უპასუხა: ეს იმიტომ, რომ ჩვენ ასეთ კომისიებში მხოლოდ დიდებს, დაფასებულ პირებს ვიწვევთ და სხვას არავის!

და მერე მე განა დიდი სრულწლოვანი არა ვარ, რომ არ მიგიწვევიხართ? შეეკითხა კვლავ გვოზდევი.

— კომისიაში ჯერ თქვენზე უფრო დიდებს ვიწვევთ ხოლმე—უპასუხა ღიმილით მინისტრმა და, თუ საჭირო იქნა, მერე თქვენც მიგიწვევთ.

აი, გულაბდილი პასუხები, თუ გნებავთ, ეს არის! (რ. ე.)

მ გ ლ ო ვ ი ა რ ე.

(ძველი და მუდამ კი ახალი ამბავი).

.. ვით ობოლი ყვავილი მთისა, მიუვალ ადგილას ბუჩქის ძირას ამოსული, მიმალულიყო მარიამ მაგდალინელი იოსებ არიმათიელის ბაღის ერთ ყრუ ხეივანში და შეშლილივით მისჩერებოდა ამავე ბაღის ბოლოში შეჯგუფულ ჯარის კაცებს ესენი სდარაჯობდენ ამა ქვეყნის ძლიერთაგან წამებულ იესოს საფლავს.

განთიადი იყო ის დრო, როდესაც ქვეყანასაც კი ერთი პირი ძილი მოუვა ხოლმე და სულიერნი თუ უსულო არსნი სამყაროისა ხმა გაკმენდილნი შეჰყურებენ ჩაბნელებულ ცის კიდურს

მთვარეს კარგა ხანია მოესვენა ცის გუმბათს ყომრალი ღრუბლები გადაჰკვროდა. აქა იქ და კიაფობდა თითო ოროლა ვარსკვლავი და სევდა მოსილნი მორცხვად ციმციმებდენ, თითქოს ამათაც ეძინებათო.

დაღალული ჯარის კაცები ახსებივით შემოხვეოდენ იესოს სამარეს და შუბის ტარზე დაყრდნობილნი მშვიდათ სთვლემდენ.

არიმათიელის ბაღი წყვდიადს მოეცვა. ყვავილ ბალახები ოდნავ, სულ ოდნავ, ფშვინავდენ. ლეღვისა და ვაზის ფოთლებს თავები დაეხარათ და იქვე, მათ ძირში მოლიკლიკე წყაროს ცრემლებს აწვდიდენ.

ყრუდ სტიროდა მარიამიც.

— იესო ტკბილო, იესო! გმინავდა მაგდალინელი და ხან პირქვე ემხობოდა, შავ მიწას ჩაჰბღაოდა, ხან კი ანკარასავით იბლანძებოდა და მზად იყო თავის-სავე ხელებით გაეფათრა მოელვარე მკერდი, მწარედ მკვნესარე გული ამოეგლიჯა და ხორცის ამ პაწია ნაკვეთიდან გამოეწურნა უკანასკნელი წვეთი სიცოცხლისა, უკანასკნელი ნატური სიყვარულისა!..

— იესო, იესო! ხავხავებდა მარიამი და თან ხორცებს იგლეჯდა.

დაიღალა, დაოსდა გრძნობათ ქცეული მაგდალინელი, ერთხელ კიდევ დაიბღავლა და სასომიხდილი ბალახებში გულაღმა გადაესვენა. სოსანი ხირდა ცალ მხარეზე მოჰქცეოდა, მანდილი თავიდან გადმოვარდნოდა, ხშირი აბრეშუმა თმები ჩამოშლოდა, წითელი მოვის პერანგი გადახეოდა, ოქროს ღილით შესაკრავი საკინძე ჩამოშლოდა და მთათ მოღელილი ბროლ ფიქალი გულ-მკერდი ზღვასავით უღელავდა იდო მშვენიერი სხეული მარიამისა გაუნძრევლათ. ლურჯი,—ცის კამარა—თვალები უელავდა, მის ლაწვებს ძოწეული გადაჰკროდა.

გეგონებოდათ ღვთაება მშვენიერებისა ვნებათა ღელვით გადარეულ ღმერთს სიყვარულისას ყვავილთა შორის გამოუნაკებავს, რომ დათვრეს მისის ეშხით და დაუსრულებლივ უმღეროს ჰანგები სატრფოებისაო!..

ყვავილ ბალახებმაც კი ვეღარ შესძლეს მშვენიერ ასულის საოცნებო მოღელილ გულ-მკერდის მზერა, თავი დაბლა დახარეს და თრთოლვით მიეხუტენ მარიამის მოელვარე გულს. ცელქმა გვირილამ ტრთოლა დაიწყო და ხანგამოშვებით გაუბედავათ დაეკონებოდა ხოლმე მისის ვარდივით გაალისფერებულ, ქალის მკედის კლემამოსილ კოკორს. იმ ლეღვის ტოტებიც, რომელ ლეღვის ქვეშაც იწვა მაგდალინელი, სულ დაბლა ჩამოეშვენ და ნახევრად გატიტვლებულ მგლოვიარეს გატაცებით ჩაამტერდენ .. მარიამი კი ისევ გარინდებული იწვა იმის სულს თითქოს მიეტოვებინა ტურფა სადგური თვისი და სიყვარულის ნიავით გადაქცეული, დაობლებული და დამწვარ დედაკაცის გულის ტკივილს ყრუ ხეივანს ჩურჩულით მოუთხრობდა.

— რაღა ვქნა მე უბედურმა? - ეკითხებოდა ერთ წერტილზე გაყინული ფიქრი მარიამისა გულჩათხრობილ მიდამოს.

— ჩემი ღვთაება, ჩემი მაცხოვარი უსულოთ წევს შავი ლოდის ქვეშ . მოჰკლეს უწმინდურებმა შვენება ქვეყნისა, აწამეს გული ჩემის გულისა და სული ჩემის სულისა.

ოხ, საზიზღარნო, წაგლეკავთ ჩემის ცრემლებით, დაგწვავთ ჩემს გულზე მოკიდებულ ცეცხლით. მომეცით ჩემი იესო!—მარიამმა წამოიწია, გამწარებით მკერდზე ხელი მოიჰირა, მერე ისევ მიწაზე დაენარცხა და ქვითინი დაიწყო.

— იტანჯე, იტანჯე ჩემის წამებისათვის! გველივით ჩაჰსისინა ვიღაცამ. მარიამი ფეხზე წამოიჭრა... შორს, შორს გაისმა უწმინდური, შურით აღსავსე, ყრუ ხითხითი ხეებ შორის მიმავალი აჩრდილისა

— იუდა, წყეულიც იყავ ამიერ უკუნისამდე!.. შური იძიე, განა? რატომ პირ გვგვსრისე, როდესაც ჩემ ფერხთითა ხოხავდი და შებრალებას, სიყვარულს მთხოვდი, რატომ გველივით არ გაგიპეშქე ეგ ცბიერი თვალები. რატომ მაშინვე არ ამოგგლიჯე ეგ ბოროტი ენა... მომეცი დამიბრუნე ჩემი იესო, იესო მხსნელი ქვეყნისა, იესო ნუგეში მაშვრალთა, იესო თვალის ეკალი მტარვალთა და ფარისეველთა! სასოწარკვეთილებით წამოიძახა მაგდალინელმა, წაბარბაცდა და გამეტებით თავი ლეღვ[illegible] ხეს მიანარცხა.

ლეღვმა დაიკვნესა და თანაგრძნობის ნიშნად თვის გარშემო შემოქნილი თმები მარიამისა თავის ფოთლების ცრემლებით დანამა

— დედაკაცო! რასა სტირ? ახლა სხვა მხრიდან მოესმა მარიამს, წყნარი, გრძნობით აღსავსე ხმა მეორე კაცისა.

მარიამი განთიადივით აენთო: სახე გაუღაღადდა, თვალები იმედის შუქით გაუბრწყინდა. ერთს წუთს თითქოს გაიხარდა კიდეც, გაფუქვინდა. მისმა სახე—გულ—მკერდის შუქმა იჭაურობა გაანათა ახოვანი, მშველივით ყარყარა და გედივით ამაყი მარიამი გაშტერებით ჩააცქერდა ღამის წყვდიადს, ყური წაუგდო..

— დედაკაცო! რასა ჰსტირი?

— ჰა!.. ვინა ხარ?.. მებაღე?—უნუგეშოთ შეეკითხა მარიამი და ღერო მოტეხილ ყვავილივით ჩაიკეცა.

— უფალო, უკეთუ შენ აღიღე გვამი იესოსი, მითხარ მე სადა დასდე, და მე წარმოვიღო იგი!—როდის, როდის ამოიკვნესა მარიამმა და სახე უფრო დაუსევდიანდა

— მარიამ! მე ვარ, ვერ მიცანი? კვლავ გაიმეორა კაცმა.

შენა?... ჩემი იესო?!. ოხ! ღვთაებაო!— აღტაცებით შესძახა მარიამმა და გადასახვევნად წაეტანა. იესომ უკან დაიხია, საუბროდ ხელი გაიქნია და ყრუთ უთხრა:

— ნუ შემეხები მე რამეთუ არღა ავსულვარ მამისა ჩემისა!

მაგდალინელს თვალთ დაუბნელდა, გულს შემოეყარა და მოთიბული ბალახივით მიწას განერთხო.

თენდებოდა ჩაბნელებულ ქვეყანას სახე თანდათან ულამაზდებოდა. აღმოსავლეთით, ცის ტატნობზე, ამოიმართ ალიონი და მიძინებულ მიდამოს ლი ლით გადმოხედა. მარიამი გამოერკვა და სევდით სავსე თვალები მიდამოს შემოავლო. იესო იქ აღარ იყო. მხოლოდ შორი-ახლოს ერთ ვერხვის ტოტზე საც[illegible] დავათ ქანაობდა გვამი იუდა ისკარიოტელისა და მისი ჩალურჯებული, საზარელ[illegible] თვალები ისევ შურით გადმოჰყურებდნენ მწუხარებისაგან გონება დაბნეულ მაგ[illegible]ნელ ასულ ისრაელისას.

1906 წ. ია ეკალაძე.

ქ. ქუთაისი, 15 აპრილი.

კულტურული კავშირი. თორმეტი აპრილი ისტორიულ დღედ დარჩება ქართველი ერის ცხოვრებაში: ამ დღეს დაარსდა კულტურული კავშირი!...

მნიშვნელობა ამ კავშირისა ისეთი დიდია, რომ დაწვრილებით აღნუსხვა მისი შეუძლებელია და, თუ მართალს გვათქმევინებთ, არც საჭიროა.

დაე თითოეულმა ქართველმა კაცმა, ქართველმა შესმენილმა, ქართველმა შეგნებულმა, ქართველმა ნამდვილად მოსიყვარულემ მარტო თავისი ქვეყნისამ კი არა, არამედ მთელი კაცობრიობისამ,—ჩაიხედოს თავის გულის სიღრმეში, გადაათვალიეროს ჭრილობანი ქართველთა უკუღმართ ცხოვრებისაგან მიყენებული, გაითვალისწინოს ის ტანჯვანი, რომელთაც განიცდის დღის სიცხადით განაწამები და თვითონვე ჰპოვებს, თვითონვე მიხვდება, თვითონვე დარწმუნდება რა უებარი და დაუფასებელი უნდა იყოს ქართულ ფხიზელ ძალთა,—ჩვენის ქვეყნის ამ ერთგულ დარაჯების—საერთო და ხმაშეწყობილი მოღვაწეობა საქართველოს კულტურულად აყვავებისთვის!

ქართველების ისტორიული ავადმყოფობა, ისტორიული სენი ის არის, რომ მეტის მეტი პირალია, მეტის მეტი ფიცხი და ცხარე ბუნების ხალხი ვართ.

ჩვენის პირალიობითა და სიფიცხით ბევრი რამ დავკარგეთ და ჯერ კიდევ ბევრსაც დავკარგავთ, თუ საზღვარი არ დავუდეთ ხოლმე ჩვენ წუთიერ გატაცებას და არ შევიტანეთ მტკიცე დისციპლინა, მტკიცე წესრიგი ჩვენს ხალხოსნურ მოქმედება-მოღვაწეობაში!

იმ დროს, როდესაც სხვა, ჩვენ ბედში მყოფმა ხალხმა (მაგ. სომხებმა) დიდი ხანია ჭკუა ისწავლეს და ერთის განსაზღვრულის მეთოდით მოქმედებენ, ერთის განსაზღვრულის გეგმით მუშაობენ, რომ თავის ეროვნულ უბედობას თავი დაალწიონ; იმ დროს, როდესაც სხვა ჩვენზე უფრო განათლებული, კულტუროსანი და მრავალრიცხოვანი ხალხი (მაგ. პოლონელები) ერთსა და იმავე ლარსა და ხაზს ხმარობს თავის ვინაობა-რაობის დასაცავად, თავის ღირსებისა და ისტორიულ უფლებათა შესანახად, ჩვენ,—ქართველები,—მოვყვებით ხოლმე ღრიალს და რაკი გარედ ვეღარასა ვხვდებით, რადგანაც გლახა მეზანქოესავით ყოველთვის ქაღალდი გაშლილი გვაქვს და ჩვენი თანამეზანქოენი ნათლად ხედავენ ხოლმე ჩვენ „კოზირებს", და, მაშასადამე, ყოველთვის წაგებულიცა ვრჩებით,—გაბრაზებულ-გააფთრებულნი მხოლოდ ერთმანეთს ვამტვრევთ თავპირს...

ჩვენის ასეთი ხასიათის გარშემო მაყურებელი სიცილით იხოქება და ჰკვიანურად ხელს ითბობს ხოლმე [illegible] ცეცხლზე, რომელსაც ჩვენვე ვ[illegible] [illegible] ჩვენ სახლს!

ასე ყოფილა [illegible] არის, სამწუხაროდ, [illegible]ნება, საუბედუროდ ჩვენდა, კიდევ დიდხანს, თუ, რასაკვირველია, რამე ღონე არ ვიღონეთ და ქვეყნის სახელითა და ხალხის გამოფხიზლებით სადავე არ ამოვსდეთ კერძო პარტიულსა, თუ ჯგუფურ თარეშს.

ერთი ასეთი სადავეთაგანი, ერთი ასეთი ხელმძღვანელთაგანი ჩვენის აზრით იქნება და უნდა იყოს კიდეც „კულტურული კავშირი".

აქ უნდა იშრიტებოდეს, აქ უნდა სწყდებოდეს ყოველგვარი ნაკადული ჯგუფურის ღელვისა, აქ უნდა იკრიბებოდეს, აქ უნდა გროვდებოდეს წმინდა წყაროში ჩვენის ხალხოსნური არსებობისა.

ჩვენ ეს „კავშირი" წარმოგვიდგენია იმ ტბად, იმ მორევად, იმ ზღვად ქართველი ხალხის გულისთქმისა, რომელზედაც „კავშირის" პრეზიდიუმი, „კავშირის" გამგეობა გაუშვებს დიდ გემს ჩვენის ყოფნა-უფლებისას და გაშლის შესაფერ აფრას, რომ ქარიშხალმა არ დალეწოს ანძები ჩვენის ხომალდისა და არ დაამტვრიოს ბორბლები ჩვენის წინსვლა-წარმატებისა.

ეს „კავშირი" უნდა იყოს იმ ორთაყვირად, რომელსაც გამოცდილი მეტივე ხმარობს ხოლმე თავის ტივის სამშვიდობოზე გასატანად!

ეს „კავშირი" უნდა იყოს კომპასად, გზის მაჩვენებლად ბნელ ღამეში, იმ ქარბუქის დროს, როცა ჩვენი ჯგუფური ორომტრიალი გვაკარგვინებს ხოლმე გზას და ცხოვრების მხერებზე გვაწყვეტავს!..

ეს „კავშირი" უნდა იყოს იმ მსაჯულად, იმ ხალხოსნურ კანონმდებლად, რომელიც გაასამართლებს თითოეული ჯგუფის საქციელს და დაუდებს საზღვარს ცალ-კერძო, პიროვნულ თავ-აშვებულობას, მოსყიდულ ძალას, თუ თვალთმაქცურ ძლიერებას!

პირველმა დღემ, პირველმა კრებამ ამ კავშირისამ უკვე დაგვიმტკიცა, რომ ამიერიდან ჩვენ უკვე გაგვიჩნდა ხალხოსნური „მეზღვაური" და ისე ადვილად ვეღარ დაითრგუნება, ვეღარ დაშრება წყარო ხალხოსნური მისწრაფებისა.

ამ „კავშირის" წინაშე პირველ დღესვე ქედი მოხარა „ჯგუფურმა" სიამაყემ და ჰპოვა გზა-სავალი სამართლიანობამ!

ჩვენში არსებულმა ყოველგვარმა მიმართულებამ შეუჯიბრებლათა და შეუჯახებლად—ხელი ხელს მისცა და დაამყარა ჯეროვანი ფუძე ძალთა-განწყობილებისა.

მაშ, გაუმარჯოს ახალ კავშირს! ტანჯული ქვეყნისა და ტანჯული ერის ხალხოსნურმა გულისთქმამ ჰპოვოსმცა მტკიცე ნავსაყუდელი თავის საერო და საქვეყნო იდეალების განსახორციელებლად!

ორი სურათი.

(ადგილი წინათ და ახლა*)

წ ი ნ ა თ.

მაშინ მე სულ რვა—ცხრა წლისა ვიქნებოდი. სოფლად ვცხოვრობდი. სოფლის უმანკოება, მისი სი[illegible] [illegible] ანკარა წყარო [illegible] მრავალფეროვნად აჭრელებული ბუნება [illegible] სილამაზეს აძლევდა მას.

გულ-გამაძღარი კმაყოფილი იყო მისი მცხოვრები. ბუნების სიმშვენიერით [illegible] ცხოვრობდა, სიმღერებით სამუშაოს [illegible] სიყვარულით(?) იყო [illegible]

ლაღი იყო ბუნება, ლაღადვე [illegible] ჩვენც—[illegible] თამაში, [illegible] მთელი წლობით ჩვენსა [illegible] და სხვების [illegible] რა იყო არ [illegible] ვმხიარულობდით შინ, [illegible] გარეთ, ენაგარდობდით მინდორ[illegible] [illegible] ველად, მაშინ და ბაღში.

---

*) რადგანაც ეს მოთხრობა „საქართველოს" რედაქციას შემოკლებით დაუბეჭდავს [illegible] ავტორის თხოვნით ჩვენ [illegible] იბეჭდება. რედ.

ნარკვევი.

...ოგორც მოხსენებული გვქონდა, 12 ...ლს თბილისში მოხდა კულტურულ- ...ნათლებელ საზოგადოებათა კავშირის ...რებულთა კრება. კრებაზე სიტყვა ...თქვა პატივცემულმა ე. თაყაიშვილ- ...რომელმაც განმარტა ასეთი კავშირის ...ნელობა საზოგადოთ და კერძოთ ...ქართველებისათვის :

...ისთანა პატარა ერისათვის კიდევ უფრო ...ია შეკავშირება უეჭველად საქმეში, ...მრავალრიცხოვან ერისათვის ჩვენი დრო ...კრების უთვნა არეულობის დრო არის. ...ჩვენ გვმართებს მჭიდროთ შეკავშირ... და სიფხიზლე, რომ საქვეყნო ქარტე- ...არ აღგვგავოს ძარიანად. დაკნინება, ...გვება და ერთმანეთის გაუტანლობა ჩვე- ...ტორიული სენია. საქართველო იმდენად ...არ დაუქცევია, რამდენადაც შინაურმა ...ნელობამ დაქცია. ეს ისტორიული სე- ...ხლაც თან გვახლავს, მაგრამ სხვა ...აჩენს თავს. ეს არის ჩვენი ერთმანე- ...გაუტანლობა. სხვადასხვა პარტიების და ...ების სასტიკი ბრძოლა, გაუთავებელი ...ა-კამათი პოლემიკაში, ერთი მეორის ...ბის დამცირება, თუ ჩვენ მთავარ სა- ...ებში ვერ შევთანხმდებით, ვერც რამეს ...ნის გავაკეთებთ. ჩვენი დრო კოლექ- ...ძალის და კოლექტიური მოქმედების ..., რაც უნდა ნიჭიერი და მხნე იყოს თა ...ადამიანი, ის შეუკავშირებლათ სხვის ...რებლად ვერას ვერ გავა. თუ სხვა მთა- ...კითხვებში ვერ შევთანხმდებით, საკულ- ...და საეკონომიო საქმეებში მაინც უნდა ...მდეთ და საერთო ძალით, ერთმანეთის ...განვახორციელოთ დანიშნული მიზანი. ...ურო და საეკონომიო კავშირი სხვა კავ ...ც გამოიწვევს და თანდათან გზას გვიხ ...ერთობისას, შეთანხმებისას სხვა მთა- ...საკითხებშიაც.

. . . . . .

...მავფერ რომ ვსთქვათ, თუ თითოეული ...ს საკულტურო საზოგადოება ანალიზია ...ს საერთო კულტურისა, კავშირი სინტეზი ...იყოს ამავე კულტურისა. ამიტომაც კავ- ...უსათუოდ თვალი უნდა ადევნოს ყველა ...კულტურულ საზოგადოებათა მოქმედებას, ...მართს ზნეობრივად და ქონებრივად იმათ, ...რომელთაც ეს ამგვარ ესაჭიროება, თავს იდ- ...მათ მაგიერ შუამდგომლობა მთავრობისა ...სხვა დაწესებულებათა წინაშე თბილისში, გა- ...ნის საშუალება და თავს იდვას ინიციატივა, ...საერთო ძალით, ყველა საზოგადოებათა ...ნებით განახორციელოთ დროის შესაფერი ...და საერთო საქმე, რომელსაც კერძო ...ზოგადოება თავის ძალით ვერ ასრულებს, ანუ ...ძალა არ შესწევს რომ აასრულოს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

შვიდი ვაგონი ფქვილი, რომელიც ქალაქის თვითმართველობამ მიიღო, შეიძინა ქალაქში გასანაწილებლად ქუთაისის მომხმარებელმა საზოგადოებამ—კოოპერაციამ

ამავე საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით ქალაქის თავმა გაანაწილა მეფურნეთა შორის ის ფქვილი, რომელიც გამოაჩინა მოშიაშვილმა 450 ტომრამდე და გამოუცხადა ყველა მეფქვილეს, რომ: თუ ვინმეს აღმოაჩნდა ფქვილი დამალული, კონფისკაციას მოვახდენთ ფქვილისას და დამნაშავენი სასტიკ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულიო. ამიერიდან ყოველი მოქალაქე ვალდებულია გამოაშკარაოს, თუ სადმე დამალული აქვს ვინმეს ფქვილი.

◆ ფრიდონოვის ოინები თანდათან ირკვევა. ამას წინად/შაბიამანის საკითხის გამო თბილისში ჩავიდნენ თ. დ. დ. ო. წიქარაძე, ზესტაფონის გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარე და ოზურგეთის თავად-აზნაურთა მარშალი. მათ ინახულეს საჭირო პირნი, რომლებიდანაც დასკვნა მიიღეს, რომ ფრიდონოვს არავითარი უფლება არ აქვს თავის ნების მიხედვით კერძო პირებზე გაყიდოს სხვა და სხვა საზოგადოების დახმარებით შემოტანილი შაბიამანი, როგორც გადმოგვცემენ ფრიდონოვს შაბიამანი ჩამოერთმევა.

◆ სამეურნეო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა უსასყიდლოთ არავის დაუთმოს სამეურნეო სკოლის ბაღიდან ყვავილი, მცენარე და სხვა მასალა. ამასთანავე დღეის რიცხვიდან უსასყიდლოთ არ გაუწევს სამსახურს არავის არც ყვავილებისა და მცენარეების მიწოდებით და არც მასწავლებელთა და მოწაფეთა შრომით.

◆ თანახმად უმართებულეს სენატისადმი მეფის ბრძანებისა ის ახალგაზდანი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1897 წელში და 1915 წ იყვნენ გაწვეულნი სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და ვადა გადაედვათ ახალი განკარგულების ძალით, უნდა გამოცხადდენ 25 აპრილს საბეგრო სამმართველოში; ყველა იმ ადგილში, რომელიც ნაჩვენებია ბრძანებაში. მეორე ვადა გაწვევისა დანიშნულია 1 ივლისისათვის და შეეხება შემდეგ ადგილებს: ლეჩხუმის მაზრას სვანეთს, თბილისის მაზრას, ხევსურეთს, ფშავეთს, თუშეთს, ნაციხვარს და ქუთაისის გუბერნიას.

◆ როგორც უკვე ვსწერდით, კარლო ჩხეიძე ამ ჟამად საქართველოში ჩამოვიდა ჩამოვიდა და დასასვენებლად თავის სოფელ ფუთში წავიდა. სადგ. შორაპანში დეპუტატს მუშები და გლეხები შეხვდენ და განკურნება მიულოცეს ადგილობრივ დეპოს მუშებს და მემანქანეებს განზრახვა ჰქონიათ დეპუტატს სთხოვონ თავის მდგომარეობის გაუმჯობესება

◆ ამ მოკლე ხანში ახალგაზდა ლექტორი გრ. ხანდრავა გურიის სხვა და სხვა ადგილებში წაიკითხავს თავის ლექციას „თანამედროვე ომზე და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე“.

◆ ოფიციალურათ გამოცხადდა 511 და 512 ნუმერი სახელობითი სია იმ ჯარის კაცთა, რომლებიც დაიჭრენ დაიხოცენ ან უგზო უკვლოდ დაიკარგენ ბრძოლის ველზე.

დაჭრილია 162 კვდარი—39 დაკარგულია უგზო უკვალოთ 140.

◆ ბერუჩევის ქუჩის მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის თვითმართველობას მიაქციოს ყურადღება ქუჩაზე სიბინძურეს ქუჩაში ხშირად ერთი კვირის განმავლობაში აგდია მკვდარი ცხოველი.

◆ გუშინ ქალაქის თვითმართველობამ თბილისიდან სამი ვაგონი ფქვილი მიიღო ფასდადებით.

◆ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ ქ ფოთში გაგზავნა იასონ ივანეს ძე ჯორბენაძე პურის ფქვილის საყიდლათ.

◆ შორაპნის მაზრის უფროსი დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს: 9 აპრილს შეიარაღებულმა ავაზაკებმა გაძარცვეს ს. კაცხის მოვაჭრე ჩიხლაძე. ბოქაულმა ალხაზაშვილმა დარაჯთა თანხლებით აუტეხა სროლა და დააპატიმრა. ავაზაკთა შორის დაჭრილია ქადაგიძე, კატორღაში გაგზავნილი ვაშაძე, ვანო გოგიბერიშვილი, ბარამ მხეიძე (ეს უკანასკნელი გარდაიცვალა) და მეხუთე გიორგი ქადაგიძე ავაზაკები შეიარაღებული იყვნენ ერთი მაუზერით, ერთი ნაგანით და სამი ოსმალეთის ვინტოვკით. აღმოაჩნდათ 290 ვინტოვკის და 81 რევოლვერის პატრონები. პოლიციის მხრით არავინ დაჭრილა.

◆ გეგუთის ქუჩაზე აგრაფინა კუპუხიძემ ქმრის სახლში არყოფნის დროს თავი ჩამოიხრჩო ბაწრით. ქალი ნერვებით ავადმყოფი ყოფილა.

◆ 2 ალექსანდრეს ქუჩაზე ვასილ იმედაძეს სახლიდან მოიპარეს სხვადასხვა ოქროსი და ვერცხლის ავეჯეულება, 240 მან ღირებული

◆ ოფიციალურათ გამოქვეყნდა 1 და 2 კურსის სტუდენტების ჯარში გაწვევის შესახებ კანონი. გაიწვევენ: პირველსა და მეორე კურსის სტუდენტებს, რომლებიც დაბადებულან 1893 1894 1895 წლებში. გაწვეული სტუდენტები, რომლებიც აღმოჩნდებიან ჯანმრთელები მათ ეყრებათ კენჭი და საჭიროებისამებრ რიგ რიგობით გაიწვევენ. ვინც არ მოხვდება რიგში და დროებით განთავისუფლებული იქნება, ისინი განაგრძობენ სწავლას

◆ 11 აპრილს, ძველი ლაგირის ქუჩაზე გულის სიგანიერით უეცრად გარდაიცვალა არქიფო ქავთარაძე

◆ 110 სათადარიგო ჯარის კაცთა ბატალიონის უფროსი სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუმიჯნონ ჯარის კაცთათვის საზაფხულო ბანაკი იქ, სადაც კურინსკის პოლკი იყო წარსულ წელს.

◆ ამჟამად ქუთაისის ქართულ თეატრში რუსული დასი მართავს ოპერებს. საზოგადოება ცოტა ესწრება.

◆ **დაჯარიმება**. ქუთაისის გუბერნატორმა დააჯარიმა სამ—სამი მანეთით ქ. ქუთაისის მოვაჭრეები, ღვინის ნებას დაურთველათ ვაჭრობისათვის: გერასიმე ბიდქვაძე, ილია გეგუჩაძე, იორდანე და გაბრიელ ზატარიშვილები, ალექსი უგრეხელიძე და იაკობ წიკნაძე.

ქ ფოთის მცხოვრები რახილა ფატნიცკაია 1 სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის 10 მან. დ. ოზ. მაზ. ს. ლანჩხუთის მცხოვრები ალექსანდრე ბიხეიშვილი 1 თვის ციხით.

◆ გადმოხვეწილთა კომიტეტის მთავარი რწმუნებული სთხოვს ქუთ გუბერნატორს შეატყობინოს: რამდენი იხარჯება გადმოხვეწილთა სამმართველოს საკანცელარიო ნივთებზე.

◆ ქ ნინო ჩარექოვისას გადუთარგმნია რუსულათ აკაკის ისტორიული პიესა „პატარა კახი“ რომელიც ამ ჟამად იბეჭდება.

ღრმად დამწუხრებულნი ედუსი პეტრეს ასული და ნიკო ბესარიონის ძე
ზუნცაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი
და დაუვიწყარი შვილის

აკაკის (კუკუშკას)

ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 16 ამა აპრილს სოფ.
კვალითში.

...ში და ათასფერი იყო ჩვენი თამაში, ...ქეცვა, მხიარულების ქინის მოკვლა ...რალო სადა დღეებში.

...ათას გვარი იყო ჩვენი სააღდგომო გა- ...რთობა-შექცევის სურათებიც.

...ი, უცებ დაზბერა ცელქმა სიომ და ...ლის რიგრაემა უფსკრულიდან თავი გა- ...ყო, მზემ ოქროსფერი თვისი სხივები ...ფორცნა ცის კამარას

...ურდისფერი მოსახურავი გადააფარა ...ნებას და გაალვიძა ბუნებაში ეს დიდი ...ლა.

...აღსდგა მიძინებული უკვდავი სული. ...დგა ბინძური ხელით შეჯაჭვული ჭე- ...რიტება.

...ბუკუკდა მწვანით შეფეთქილი არე- ...რე, აშრიალდა ნორჩი ფოთლები.

...თავი წამოჰყო ნაზმა ია და ლობის ...იდან ჰყიტა თვალები.

...შუობრივ ხმა შეუტკბო ფრთოსანთ ...ლობას აღდგომის ზარების კვნესა-გუ- ...ნმა და გაიღვიძა სოფელმაც

...ეკლესიის გალავანი სავსეა ხალხით ...ყველა მხიარულათ ეხვევა ერთმანეთს, ...ელ კვერცხს უცვლის, ტუჩებში კო- ...ნის, ქრისტეს აღდგომას ულოცავს.

...ჩვენც იქ, იმათ შორის ვტრიალებთ, ...ულოცავთ, ერთმანეთს ვეამბორებით.

...გერ მოხუცებული მშობლები ბალა ...თ მიცვლილ სასაფლაოს სანთლებს უნ ...ებენ, წითელ კვერცხს საფლავზე უგო- ...ებენ და თავის მიცვალებულს შვილს ...დგომას ულოცავენ.

...ჩვენც იქვე უთვალთვალებთ ამ გაგო- ...ბულ კვერცხებს და ერთმანეთს ხელი ...ბენ ვართმევთ ჯიბეში ვიწყობთ

...სახლები, ეზოები ეკლესიის გალავანი ...ვსეა მხიარული ხალხით.

...ერიც, რაღაც მომხიბვლელი სიამოვნებით არის გაცლენთილი და ჩვენს სიტკბოებას დასასრული არ ჰქონდა მაშინ.

დიაღ, მაშინ....

ა ხ ლ ა.

ახლაც ლამაზია მომხიბვლელი დილის რიჟ-რაჟი.

კოხტათ მოკაზმულია-გამოპრანჭული იგივე ბუნება.

ცოცხლობს, ლიტანიობს გარეგნულათ მთელი არე მარე...

ყელმოღერილი ეპ~ანჭება ია ფრთოსანთა მეფეს.

ქვეყანას ატკბობს მათი ჭიკჭიკი, ნაზი, მხიარული ნადიმი.

ეკლესიის ეზოდგან ისმის ზარების კვნესა, ზუზუნ-გუგუნი.

გარეგნულათ ყველაფერი თითქო ისეა, როგორც წინეთ, მაგრამ ახლოს მიდით, ჩაიხედეთ ხალხის გულში, დაუკვირდით მის სევდით დასერილ პირის სახეს..

ნახავთ:

გამქრალა, აღარ არის მასში წინანდელი სიხარულის მკრთალი აჩრდილიც

დღეს მას არ ახარებს არც დღესასწაული და არც სხვა რამ მხიარული გასართობები.

დღეს მისთვის აღარ გალობს ფრთოსანთა გუნდი.

არ არის მისთვის არც ბუნება, არც მისი მომხიბლველი ნაზი სიყვარული.

ის შეკრულია, შეჯაჭვილი მსოფლიოს კვნესით, მისი გული სავსეა ბოღმით, სისხლით მორწყული.

— ქრისტე აღსდგა, ჩემო პეტრე

— ჭეშმარიტათ ჩემო ივანე!

აღარ ისმის დღეს ჩვენს სოფელში.

ეს, დღეს სულ სხვა სიტყვებით არის შეცვლილი.

— პეტრე? ნეტავი რა იცი ომის?!

როდის თავდება?

შენი ბიჭის ამბავი რა მოგდის, რომელ ფრონტზეა?

— რა ვიცი ძმაო? სულ არაფერი. ომის დასასრულს ვინ მოესწრება!.

— ჩემი ბიჭი?.

ჰო, ჯერ იქით იყო და ახლა კი თათრის ფრონტზეა

— ფეფო! აქ რას დაეძებ?

— შვილის საფლავს ჩემო თედორე!

მინდა მოვძებნო და აი, ეს აღდგომის კვერცხი ვუმკვლიო, გულზე ვუგორო.

— მერე აქ რა უნდა შენი შვილის საფლავს?

ის ხომ ომში იყო იქ გარდიცვალა?

— მაშ, რა ვქნა?

რით მოვიოხო ეს ბედკრული დამწვარი გული.

ვეძებ ასე ჩემს სიცოცხლეში და ეგებ სიკვდილამდის მივაგნო სადმე?

— კოტე! მოდი გამოხტენ! ვაგოროთ კვერცხი!

— არა, ძმაო! მაგის გული ახლა არა მაქვს, არა მცალია.

დღეს ჩვენს სახლში წითელი კვერცხიც არ შეღებულა.

ჩემი ძმა, სანდრო, ომში მოგვიკლეს, და სწორედ არ ვართ, მართალი გითხრათ, სამხიარულოთ წელს მოწყობილი.

გესმისთ, ჰხედავთ ყველგან ამგვარ სურათებს და გულის სიღრმიდგან სევდიანათ ამოიკვნესებთ:

— ნეტავი როდის? როდის ექნება ამ მწარე ტანჯვებს დასასრული, დაბოლოება და ან როდის, ქრისტე ბრწყინვალებით ჩვენთვის აღსდგება.?!

თეოფ. ხუსკივაძე.

მგზავრების გაძარცვა.

ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ძარცვა-გლეჯა ისე დღე არ გაივლის, რომ რომელიმე მაზრიდან ყაჩაღების თარეშის ამბავი არ გვაუწყონ რამდენიმე თვის წინათ ეს ვაჟბატონები დათარეშობდენ სამეგრელოს გზებზე, მხოლოდ ახლა ნელ ნელა ლეჩხუმ-რაჭისაკენაც იწყეს მოქმედება. 8 აპრილს ლეჩხუმის გზაზე მომავალ დელიჟანს დახვდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და მგზავრები გაძარცვეს, აღსანიშნავია, რომ ყაჩაღებმა უვნებლად დასტოვეს მგზავრთაგან ერთი სამხედრო პირი და ერთი ექიმი, დანარჩენებს კი თუ რამ ებადათ, წაართვეს. მძარცველებს წაურთმევიათ მგზავრებისთვის სამასი მანეთი ფული და ორას მანეთად ღირებული ნივთები და მიმალულან. საჭიროა ყურადღების მიქცევა და ფიცხელი ზომების მიღება.

ამინდები რაჭა-ლეჩხუმისკენ კარგია, რამაც ცოტათი დაიმედიანა გლეხობა. სიმშილობა აქეთ თან და თან ფართე სახეს იღებს. სოფლებში ათასგვარი სენი მძვინვარებს

ლეჩხუმელი გლეხი.

ქალების დაკარგვა.

ს ოფურჩხეთში (ქუთაისის მაზრა). 4 აპრილს დაიკარგა სამი ქალი, რომელნიც ტყეში ჩაის ფოთლის მოსაკრეფათ იყვნენ წასული. დაკარგული ქალები დღესაც არ იციან, სად არიან. მათში ერთი გათხოვილი ყოფილა და ორი კი გასათხოვარი. ადგილობრივმა პოლიციამ ენერგიული ზომები მიიღო მათ აღმოსაჩენათ მაგრამ ჯერ ჯერობით ვერაფერს გახდა.

მაწია.

მორიგი საკითხი.

მეტად მწარეა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სინამდვილე და ბედი.

სხვადასხვა ხასიათის კრიზისები საათობით მრავლდება და ისედაც დავადებულ ერს აუტანელ განსაცდელში აგდებს.

ომმა დიდათ არივდარია არსებული ცხოვრება და სრულიად შესცვალა მისი პირობები.

რა სარგებლობასა, თუ ზიანს უნდა მოველოდეთ ჩვენ „ამ არევდარევიდან“ ეს მომავლის საკითხია, ჩვენ გვმართებს ყოველთვის ჯეროვანი ანგარიში გაუწიოთ „ამ არევდარევისაგან“ შექმნილ ისეთ მდგომარეობას, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ხალხის არსებობა და ერის მომავალი კეთილდღეობა.

დღეს მათ, ვისაც ჩვენი ხალხისადმი გული შესტკივა საკმაოდ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული მდგომარეობა ამ ხალხისა.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხალხზე, უსათუოდ ვგულისხმობთ სოფელს, სოფელს უმთავრეს მომავალ ცოცხალ ძალას ჩვენი ერისას.

აი, ეს სოფელი შრომობს ხნავს, თესავს, დღე და ღამე არ ისვენებს და არჩენს მთელ ერს.

დღეს ამ სოფელს მრავალგვარი უბედურება დაატყდა თავზე.

მათ შორის ყველაზე საგრძნობია ის მოვლენა, რომ ომის წყალობით სოფელი სრულიად დაიცალა მშრომელ ხელისაგან და დარჩა დედაკაცებისა და მოხუცებულ მამაკაცების ანაბარად.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ხალხის ერთადერთი საარსებო წყარო მიწის დამუშავებაა და სამწუხაროდ ჩვენი მოუწყობლობისა გამო ეს „მიწის მუშაობა“ დღესდღეობით ისეთი მძიმე წესით მიმდინარეობს, რომ არა თუ დედაკაცებს და მოხუცებულ მამაკაცებს არ შეუძლიათ მისი შესრულება და სარჩოს მოწევა არამედ ის მეტად საძნელო იყო თვით იმ ლომ-ვაჟკაცებისთვის, რომელნიც დღეს შორეულ მინდვრებზე სისხლსა ღვრიან.

როგორ უნდა მივხედოთ ჩვენ ძალზე მწარე განსაცდლის მომლოდე სოფელს? აი კითხვა!

ამ რამდენიმე ხნის წინად ქართულ გაზეთებში ორმა პირმა საკითხი აღძრა, რომ ის ქართველი მოწაფე ახალგაზდობა, რომელიც საზაფხულო დათხოვნის შემდეგ თავისუფალია უნდა მიეშველოს სოფელს. და აცრემლებულ დედებს და დამშეულ ბავშვებს სარჩოს მოწევაში დაეხმაროს ამ მეტად კეთილშობილურ და სამართლიან აზრს პატივცემულ პირთა მიერ აღძრულს სამწუხაროდ დღესდღეობით არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

ნუ თუ ქართველი მოწაფე ახალგაზდობა ისე გულქვაა, რომ ვერა გრძნობს თავის სოფლის უბედურებას, ან თუ ჰგრძნობს არა სურს ანგარიში გაუწიოს?

არა ჩვენა გვგონია სასწავლებლებიდან დათხოვნისთანავე მოწაფე ახალგაზდობა გაიჭრება სოფლებში და თავის წმინდა ვალების შესრულებას შეუდგება.

ზაფხულში სოფლად მუშაობა მოწაფე ახალგაზდობისთვის ფიზიკურად მეტად სასარგებლო იქნება.

მაშ, სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ 28 მაისიდან, როდესაც მოწაფეთ საზაფხულოდ დაითხოვენ, მოწაფეები წრეს შეადგენენ და პარტიობით გაემართებიან სოფელში სამუშაოდ.

ასე იქცევიან თვით დიდ რუსეთშიაც, სადაც ყოველ საქმეს მთავრობა ჰყავს მფარველად და სადაც სასოფლო სამეურნეო საქმეში სამხედრო ტყვეებსაც კი ამუშავებენ, ამავე დროს მოსკოვის სამოსწავლო ოლქმა დაადგინა, რომ ამ ზაფხულს სოფლად იმუშაოს მოწაფე ახალგაზდობამ, მაშასადამე ჩვენში სადაც ყოველი საქმე მხოლოდ ჩვენს ანაბარად არის, მით უმეტეს საჭიროა ქართველი მოწაფე ახალგაზდობის მოქმედება, რომ ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაგან ვიხსნათ

ეს წერილი უკვე დაწერილი გვქონდა, რომ დეპეშამ ცნობა მოგვიტანა 1897 წ. დაბადებულ ახალგაზდებს მიმდინარე აპრილის თვეში ჯარში იწვევენო, ამის შემდეგ უფრო უნუგეშოა ჩვენი სოფლის მდგომარეობა, რისაც აუცილებლივ ანგარიში უნდა გაეწიოს და ვისაც როგორ შეუძლია დახმარება უნდა გაიღოს.

Ser.

† მიხეილ დავითაშვილი.

6 მარტს, საფრანგეთის ბრძოლის ასპარეზზე მოჰკლეს ჩვენი თანამემამულე მიხეილ დავითაშვილი, განსვენებული თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. იგი ადრევე მოწაფეობაში გაიტაცა პოლიტიკურმა ცეცხლმა—ხალხისადმი მხურვალე მიმართულებით განსვენებული მარქსიზმის მიმდევარი იყო და 1907—წლამდე ქართულ, მარქსისტულ გაზეთებშიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

მიხ. დავითაშვილი საფრანგეთში 1910 წლიდამ იყო. 1914 წ., როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო სხვა და სხვა პირობების გამო, მიხ. დავითაშვილი იძულებული შეიქნა ჩაწერილიყო საფრანგეთის ჯარში, სადაც 1916 წ. 6 მარტამდის დაჰყო, მხოლოდ ამ დღეს კი სამშობლოს განშორებულ ადამიანს ბედმა უმტყუნა და უცხო მხარეში უცხო ტყვიამ იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

განსვენებული 42 წლისა იყო.

სომხეთი საქართველოში

(სომხის სამღვდელოებისა და დაშნაკელთა ოცნება).

სულითა და გულით გვსურს, რომ სომხეთი აღდგენილ იქნას ნამდვილ სომხის ერის ტერიტორიისა და მიწა მამულზე. ამის ნაცვლად, არიან ისეთი პირნიც, რომელნიც სომხეთის აღდგენას საქართველოში ფიქრობენ, ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ ამის შესახებ ცნობებს, თუ რით ან როგორ უნდა განახორციელონ 'ეს ნატვრა სომხეთის აღდგენა საქართველოში.

ამ აზრით, სომხის ნაციონალისტები თფილისში იძენენ დიდ ადგილებს და აშენებენ დიდრონ შენობებს, ხოლო თფილისის გარშემო კი ხელში იგდებენ ცარიელ ადგილებს და ზედ ასახლებენ სომხეთა გადმოხვეწილებს. ესენი იძენენ თვით ქართველთა მამულებსაც და ამით ქართველებს სასტიკათაც სჩაგრავენ. აი, ამის მაგალითიც: 1880 წლებს, ვერაზე სომხების სასაფლაოს ახლოს, ერთ ალაგას, სადაც ქალაქის მიწაზე ესახლა 20 მდე კომლი ქართველი ოჯახი, სომეხ არამიანცმა ერთი ვიღაც ყალბ პატრონისგან ჩუმად შეიძინა და მერე ყველა ეს სახლის პატრონი ქართველები სულ აჰყარა აქიდან და ზოგს სახლებიც კი დაუქცია.

მეორე მაგალითი:

აქვე ვერისკენ, ტკვრის პირას არის ერთი დიდი შენობა, სადაც მოსახლეობს 300 მეტი ქართველი გლეხობა, მოსახლეთაგანს ზოგს მამული ბანკშიაც აქვს დაგირავებული, მასთან მამულის სათანადო დოკუმენტებიც აქვთ მოგახსენებთ კიდევ ამ მამულის ამბავს: ეს მამული ყოფილა საკუთრება თავ. არსენ ბარათაშვილისა, რომელიც ცოლოშვილით ყოფილა 1840 წელში თავის ყმა გლეხები მოუყვანია სოფლებიდამ და აქ თფილისში დაუსახლებია, რისთვისაც საკუთრების, ანუ ჩუქების საბუთის ქაღალდიც მიუცია შემდეგ ეს ბარათაშვილი რუსეთში გადასახლებულა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა, იქ გარდაცვლილა.

რა მოხდა მერე ამ ბარათაშვილის მამულზე: ჩუმად დაეპატრონა ერთი სომეხი და იგი მამული 1860 წ. გაყიდა მეორე სომეხზე, მეორე სომეხმა მესამეზე, ბოლოს კი ეს მამული იყიდა მდიდარმა არამიანცმა. დაიწყო მამულის ძიება, სამართალმა დაარღვია თვით კუპჩები და ვოლნი ლისტებიც და ახლა, ბევრის დავა-დარაბის შემდეგ, ეს 300 კომლი ქართველობა უნდა აიწმინდოს აქედან. ზოგი უკვე აიყარა თავის სახლ-კარიანათ, გადავიდა სხვა კუთხეს და ქირით ცხოვრობს სხვის სახლში.

ეს ამბები ისეთ დროს მოხდა, ისე აშკარად ტ მართლაც ისე უსამართლოდ, რომ მის შესახებ ერთ დროს, თფილისის გაზეთებშიაც იბეჭდებოდა წერილები. ამის შესახებ ბევრი სწერა რუსულ გაზეთებში ილია ბახტაძემაც.

მესამე მაგალითი:

კუკიაში, ანუ როგორც ახლა დარქვეს ნაძალადევსა (ნაძალადევი) და დიდუბეს შუა მდებარე ადგილები დღეს ეკუთვნის სომეხ ნადიროვს და სომეხ დოლუხანოვს. ამ ადგილებზე სახლობს 500 მეტი ქართველი ხელოსნები და ზოგი მოხელენიც. დიდიხანია მას შემდეგ გასული, რაც ამ მოსახლე ქართველებს მკაცრად ემლავებიან ნადიროვი და დოლუხანოვი, ნამეტურ ნადიროვი. ესენი ადგილებს აფასებენ ერთობ ძვირად, ისეთ ფასად, რომ კაცი მის ყიდვას ვერ შესძლებს. იჯარით აღებაც ამ ადგილების შეუძლებელია სიძვირის გამო. ამგვარათ დასახლებულნი იძულებული არიან აქიდან აიყარონ და უბინოთ, უსახლკაროთ დარჩენ.

ამას სცდილობენ აშკარად. აშკარადვე ეტყობათ ქართველთა სიძულვარე, ჯავრი, ბოროტება, თუმც ამის სიტყვით არ აღიარებენ, მაგრამ საქმით კი რომ შეეძლოთ მთელს ამ ქართველობას სასტიკის ცეცხლით გადასწვამდენ. მცხოვრებთ გვარებთაც კი არჩევენ. სომხის გვარს სხვაფერ ეპყრობიან და ქართველებს კი დღეს უმწარებენ. სურვილი აქვს ნადიროვს, რომ აქ ქართველების სინსილა გაწყვიტოს, ქართველების სახსენებელიც კი არ იყოს. ქართველთა და ამ სომხის შორის დიდი ბრძოლა არის გამართული, ქართველები ადგილების შესყიდვას სთხოვენ ზომიერ ფასებში, იგი კი წინაღმდეგია ამისი, ვინაიდან იგი ხედავს კარგად, რომ მოსახლენი სულ ქართველები არიან, ამას კი მისი გული ვერ იტანს.

სწორედ ამ მიზნით გააკეთეს აქ სომხეთა სემინარია, რომელსაც დიდძალი ადგილი ნადიროვის მეუღლემ შესწირა. მიზანი ამ სემინარიის გაკეთებისა აქ ის არის, რომ ეგები ამით მაინც მოიზიდონ აქეთ სომხები და დასახლდენ, რომ მით ქართველთა რიცხვმა იკლოს, თორემ ქართველთა გამრავლება ამ უბანში სომხის სიკვდილს მოასწავებსო.

მოგახსენებთ იმასაც, თუ ეს მამულები, რომელსაც ეს პირები ასე ეპოტინებიან, ვისი საკუთრება არის, მას როგორი ისტორია აქვს, იგი ვისი სისხლით არის მორწყული და ვისის ძალით არის დაცული, ან ვისი საკუთრება იყო წინად.

1770 წ. სპარსეთიდან საქართველოში, თფილისში, მეფე ერეკლეს კარზე გაჩნდა ვინმე სომეხი ექიმბაში, ამატუნი. ამ ექიმბაშმა ჯარა ექიმობით კარგი ცოდნა გამოიჩინა. მეფე ერეკლეს წინაშეც საკმარისად გაითქვა სახელი ამ მკურნალობით ბოლოს საქმე ისე დატრიალდა, რომ ექიმბაშმა ამატუნმა მეფისაგან თავადობაც მიიღო და მასთან ეს ხსენებული მამულებიც საკუთრებათ გაიკრა, ვინაიდგან თავადის შვილს უსათუოდ მამული და ყმებიც უნდა ჰყოლოდა. მამულთან ამატუნს ქართველი გლეხების ყმებიც ერგუა. მეფე ერეკლესაგან ბოძებული ეს უზარმაზარი ვრცელი ადგილები დაიყოლნა ამატუნას სახელზე. მის შემდეგ ამატუნი იწოდებოდა თავადის შვილად.

შემდეგ ამისა მოხდა საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება, ამატუნი თავადებათ იქნენ ცნობილნი. ეს ვრცელი ადგილებიც მათ საკუთრებათ დღეს ამ გვარის შთამომავლობა მამრობითი სქესისა აღარავინ არის, წინედ კი იყო ერთი წევრი ამ გვარის, ნაპოლეონ ამატუნი, რომელიც ჩუღურეთისა და კუკიის მამულებს პირიან ფასებში ჰყიდდა და იგი ამ დროს ქართველსა და სომეხს არ არჩევდა. ამ ნაპოლეონ ამატუნის ნათესავი არის ორი ქალი, ამატუნის ასულნი, სომხის პატრიოტები, ესენი გათხოვილი არიან ერთი ნადიროვზე და მეორე დოლუხანოვზე, ეს მამაპაპეული მამულებიც მათ გაჰყვათ მზითევში და ამ გზით გახდენ იგინი ამ უზარმაზარ მამულების პატრონებად.

დღეს ამათ დაივიწყეს ყველაფერი, დაივიწყეს ქართველ მეფის პურმარილი, ქართველი მეფისაგან მათის სიმამრის წინაპართა გათავადება, მამულების ჩუქება და სხვაც ბევრი ასეთი და ნიშნად პატივისცემისა და ამაგის გადახდის, ამ ქართველთაგან ბოძებულს მიწა მამულზე, ქართველის სისხლით მორწყულს მიდამოებში, მშვიდსა და უწყინარ შეუძლო სახლის პატრონებს ემტერებიან, სასტიკად მტრობენ ბოროტათ, აწუხებენ უხეიროდ, უნდათ ამათი აყრა, სახლ-კარის დაქცევა და სხვა, რაც ყოველივე ხდება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მოსახლენი ქართველები არიან.

ქართველის მოსახლეობას და გამრავლებას თფილისში სომხის „აზგასერები“ ვერ ეგუებიან, ქართველის დასახლება და გამოჩენა მათი სიკვდილი არის თფილისში. აი, ასეთია ისტორია იმ მამულებისა,

სხვა ასეთ ამბების მოყვანით მეტი ხელს თავს არ შევაწყენთ, საგნის სინამდვილისთვის ესეც კმარა. ვისაცკი თვალი ხედავთ აქვს და ყური სმენათ, იმან თფილისში მიიხედ-მოიხედოს აქეთ იქით და ნათქვამში ცხადათ დარწმუნდება: ყველა აშკარად დაინახავს იმ გარემოებას, რომ სომხობა კარგა ხანია მას შემდეგ გასული, რაც თფილისში ქართველებს სისტემატიურად სდევნის და აძევებს.

ყველა ეს სომეხთა მელური მოლოცვა და გველური კბენა მოასწავებს აშკარად იმ გარემოებას, რომ თფილისში და საერთოდ მთელ საქართველოში ქართველთა რიცხვი შეკვეცილი, მათი მამულები მიითვისონ და მათ მაგიერ მათს საკუთრებაზე სომხები გამოჩნდენ და გამოცხადდენ. ამის მცნება შენ ჯერედ გრიგორ არწრუნმა ასწავლა, მერე აბგარ იოანესიანმა, ამათივე მარჯვენა მკლავი იყო რაფი, ნამეტურ პეპოს დამწერი სუნდუკიანციც და ბევრნიც სხვა ასეთნი, რომელთაც სომხურ აზგასერულ მიმართულებას სული ჩაუდგეს 1875 წლებს შემდეგ, როცა გრიგორ არწრუნმა გაზეთ „მშაკი“ დღიურ გაზეთად გადააკეთა. ეს სიძულვარე სულ მათი მოწყალება გახლავსთ ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

ფედერალისტთა დაწვრილმანება.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ „სახალხო ფურცლის“ ქუთაისურ-ხონელი მოამბენი ყალბ ცნობებს აწოდებს ამ გაზეთს და მით დიპლატობენ სიმართლეანობასაც და ატყუებენ თავის მკითხველებსაც.

აი, ახლაც ასეთ ცნობას აწვდიან „სახალხო ფურცელს“ (№ 546).

„ხონში იყიდება ყოველ დღიურად „სახალხო ფურცელი“ 150 ც., „ზვიგენი“ 53 ც., „მეგობარი“ 30 ც., „სამშობლო“ 5—8 ც., „საქართველო“ წინად მოდიოდა 5 ცალი და არ იყიდებოდა, ეხლა კი სულ აღარ მოდის“-ო.

მატყუარა მოამბეს თუ უნდოდა აღენიშნა ხონელების ყურადღება ქართულ ჟურნალ-გაზეთებისადმი, უეჭველად უნდა დაესახელებინა რაოდენობა „თანამედროვე აზრისა“, „ახალი კვალისა“ და სხვა ჟურნალების გასავალისაც, მაგრამ, აბა ამას როგორ იკადრებდა?

მისი აზრი იყო დაემცირებინა „სამშობლო“—„საქართველო“ და ეჩვენებინა, თუ როგორ სწარმოებს ფედერალისტთა გაზეთების რიცხვი!..

ჩვენ ვიცხადებთ, რომ გარეშე ხელის მომწერთა გარდა, ჩვენ ხონში ვაგზავნით 25 ნომერს ყოველდღიურს გასასყიდლად და ანგარიშსაც მეტ ნაკლებს ვიღებთ. მაშასადამე ამას თქმა, რომ გაზ. „სამშობლო“ 5-8 ცალი გადისო მტკნარი სიცრუეა და ჰმოწმობს ფედერალისტთა დაწვრილმანებას.

დარწმუნებით ჩვენ ფედერალისტებს ასეთი ფანდებით ფონს ვერ გავლენ და ძალიან მალე მოელებათ ბოლო, თუ ყოველგვარ სიყალბეზე ხელს არ აიღებენ.

მენამზე ექსპედიტორისა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ამბოხება ირლანდიაში

ლონდონი. ინგლისის პრესა აქვეყნებს ირლანდიის საქმეთა სეკრეტარიატის ცნობას, რომ ირლანდიაში უწესოება დაწყებულა, ნაშუადღევს დუბლინში შეიარაღებულმა ხალხმა პარკი სტიფენსი დაიკავა და აქედან უწესოება სხვა ადგილებსაც მოედო.

კოპენჰაგენი. ლიბკნეხტს რეიხსტაგში ლაპარაკის უფლება არ მისცეს.

იტალიის ასპარეზი

რომი. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა კორდევოლის მაღლობზედ სან მოქელე კარსოს ხაზზე. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. მტერმა ფრიკურთან ნაღმი ააფეთქა, მაგრამ ზიანი არ მოუყენებია ჩვენ გავმართეთ საჰაერო ბრძოლა და გერმანელების ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

მესოპოტამიაში მოხდა კრეისერების შეტაკება, რომელმაც ოც წუთს გასტანა, მოკლულია ორი, დაიჭრა რამდენიმე კაცი.

რუსეთი.

ექსპროპრიაცია პეტროგრადში

დღისით-მზისით ამ დღეებში ვიბორგის მხარეზე პეტროგრადში ვიღაც ექსპროპრიატორებმა არა ჩვეულებრივი თავდასხმა მოახდინეს პარვაინენის ქარხნის „არტელშჩიკს“ 422,500 მან. ფული მიჰქონდა და ქარხანაში ფული ორ ნაწილად იყო გაყოფილი [illegible] ნაწილი თვითონ „არტელშჩიკს“ მიჰქონდა, ხოლო მეორე [illegible] ნაწილი პატარა ბიჭს ტომრით. ყაჩაღებმა, რომლებიც ნიღაბ ავარებული იყვნენ და რევოლვერებით შეიარაღებულნი, იტაცეს ფულის დიდი ნაწილი ალბათ „არტელშჩიკს“ მიაქცია და უცებად თავს დაესხნენ მას ერთ მოსახვევში. „არტელშჩიკი“ ტყვიით განგმირული იქვე დაეცა; ყაჩაღებმა აართვეს მას ფული. ერთი გოროდოვოიც, რომელიც რევოლვერის ხმაზე იქვე გაჩნდა, მიწაზე დასცეს უსულოდ და მერე თავის საშველად გაქცევა არჩიეს. ყმაწვილმა ისარგებლა ამით და იქვე მახლობელ მოსახვევში თავს უშველა: აცნობა ეს ამბავი იქვე მდგომ დარაჯს და მერე ეტლით ფული სამშვიდობოში გადაიტანა. გაქცეულ ყაჩაღებს პოლიციელებთან ერთად იქვე მოგროვილი მუშებიც დაედევნენ თითქმის ათასამდე კაცი მისდევდა ორ ექსპროპრიატორს. ისინი მაინც არ დაიბნენ ჯერ შევარდენ „კაჩეგარკაში“, სადაც ზედა ტანისამოსი გაიძვრეს, შემდეგ შეირბინეს ნობელის ქარხნის ეზოში და იქ ქარხნის მაღალის სადგომში შეიჭრნენ. იქ მათ მხოლოდ ქალები და ბავშვები დახვდათ, რომელთაც ურჩიეს იატაკზე განართხულიყვნენ ერთიერთ ოთახში. რადგან სროლა იყო მოსალოდნელი. პოლიციელები მართლაც დიდხანს ესროდენ ყაჩაღების სიმაგრეს, მაგრამ ვერას გახდნენ, ყაჩაღებიც სროლითვე უპასუხებდენ. ბოლოს ბრძანება გასცეს, რომ სახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ, რაკი დაინახეს ყაჩაღებმა თავის აღსასრულის მოახლოვება, თავის მოკვლა გადასწყვიტეს უკანასკნელად ორჯერ კიდევ მოისმა სროლის ხმა და სიჩუმე ჩამოვარდა; აღმოჩნდა, რომ ყაჩაღებს რევოლვერით თავი თვითონვე მოეკლათ. ქარხნის ეზოში გატაცებულ ფულიდან სულ 269 მან. წვრილი ფული ნახეს პატარა ბიჭის პეტროვის ტომარში აღმოჩნდა 418,000 მან. ამ ნაირად დააკლდათ სულ 1,831 მან., რაც ალბათ ცეცხლმა შთანქა ორი ექსპროპრიატორი ათას მუშა მდევნელთან სრულიად უძლური აღმოჩნდა.

ჩხრეკა და დატუსაღება

ქ ხარკოვიდან „რუსკ. ვედომოსტის“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ იქ ბევრი მოსწავლე და მუშა დატუსაღეს. დატუსაღებულები ზოგი სტუდენტი ქალია, ზოგი სტუდენტი ვაჟი და ზოგიც მუშათა სავადმყოფოს კასების წარმომადგენელი ბევრგან ბინებიც გაჩხრიკეს, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახეს. რამ გამოიწვია ეს „ჩხრეკა ჰერა“ ან რისთვის ააწიოკეს ახალგაზრდობა, ამაზე კორესპონდენტი ვერაფერს (?) ამბობს.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ფარცხნაყანევი [illegible] სოფლის სკოლის მასწავლებელი [illegible] მეფარიშვილის ინიციატივით და დე[illegible] გიორგი ფხაკაძის პასუხის მგებლობით განუზრახავთ დაარსონ უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო ზემო აღნიშნულ სოფელში, რისთვისაც უკვე აღუძრავთ შუამდგომლობა ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის წინაშე, რათა მათ მოუპოვონ ნებართვა, სადაც ჯერ არს. ვუსურვებთ მათ, რომ თავიანთი დაწყებული საქმე სასურველად დაეგვირგვინებიოსთ იმედია, სხვა მათი ამხანაგები და, მოწინავე შეგნებული პირნი ამა სოფლისა დაეხმარებიან მათ ამ დიად კულტურული დაწესებულების დაარსების საქმეში.

მკაშელი.

— —

სოფ. რიონი. (ოკრიბა). ამ სოფლის ავკარგი არა ერთხელ იყო აწერილი გაზეთებში გარდა ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლისა, სხვა არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს. სოფელი უხვად დაჯილდოებულია საღი ჰაერით, გარტყია მთა გორიანი ადგილები, ტყეები, საძოვრები საყანე მიწები და ბაღები, კლდიდან გამოდის მშვენიერი ანკარა ცივი წყაროს წყალი. მოსავალი სამუშაოთ იცის აქ სცხოვრობს სამასი კომლი გლეხი. აკეთებენ სამუშაო იარაღებს:—თოხს, წალდს, ნაჯახს, დანას და სხვ. უგზოობით ადგილობრივი მკვიდრნი მეტად შევიწროებულნი არიან. ადგილობრივი ადმინისტრაცია გზების გაკეთებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ივლაინე

მოწოდება.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, საგურ მექვენმა გვინდა დავაარსოთ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამიტომ მოგწოდებთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ამ ფრიად სასარგებლო საქმეზე, ხელი შეუწყოს და თავისი წვლილი გაიღოს შეძლებისდაგვარად. ფული გამოგზავნება შემდეგი მისამართით: ქუთაისი, პირველი ქალაქის აფთაქი ეკტიხა ახვლედიანს.

მასწ. ეგგ. ასათიანი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

მმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქ. საკ. სახლი).
მიღებულია საუკეთესო საშუალება „ოსტიოკოლი“
ღვინის გასაწმენდათ ლექისგან.
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომიერია.

საღი კუჭი
ჟელაგარი ექ. ვეზისა.
ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.
ქრონიკული ყაბზობა წვართა მთელი წყებას კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, საშწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასალებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან.
ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი.
პრეპარატ ჟელაგარს ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.
ნამდვილი ჟელაგარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში.
იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში ა. კ. შამირზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.
ჟელაგარის ერთი კოლოფის ფასი 3 მ., მისარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი, 9 (წლიური)

მზრუნველმბეჭდავი სტამბა ალ. კობრიძისა—ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.